№ 253 მთავრობის მოამბე

საქართველო
რესპუბლიკა

ოფიციალური გაზეთი

ფასი 10 მან. კვირა, ნოემბრის 7 1920 წ.

წელიწადი მესამე

მთავრობის მოამბე, ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

საქართველოს რესპუბლიკა

გაზეთი ღირს თვეში 200 მან., ცალკე ნომერი ყველგან 10 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 15 მან. 4-ხე გ. 10 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 300 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 160 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 120 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20% რედაქციის და კანტ მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

სახელმწ. თეატრი.

7 ნოემბერს
მინიონი
8 ნოემბერს
ტაისი
9 ნოემბერს
კოტე და ქეთო
10 ოქტომბერს
აბესალომ და ეთერი

972 1—1 დასაწყისი სრულ 8 საათზე საღამოს.

სახელმწიფო დრამის თეატრი
(ყოფილი არტისტიული—რუსთველის პრ. № 21. ტელ. 8-07)
დღეს, ნოემბრის 7-ს საღამოთი
I. **დარისპანის გასაჭირი** II. **ირინეს გედნიერება**
დასაწყისი საღ. 8 საათზე. ბილეთები გაყიდულია.
სამშაბათს, ნოემბრის 9-ს
ოტელო შექსპირისა.
ახალი დეკორაციები და კოსტიუმები მხატვარის ალ. ზალცმანისა.
971 1—1 რეჟისორი აკაკი ფალავა.

სახელმწიფო გამოცდების კომისია

სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტზე კურს დამთავრებულთათვის სწავლა-განათლების სამინისტროს მიერ უკვე დანიშნულია და შეუდგება გამოცდებს მიმდინარე 1920 წლის 1 დეკემბრიდან.

გამოცდების დაჭერის მსურველთ უნდა შემოიტანონ თხოვნა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცელარიაში და სიბრძნის მეტყველების ფაკულტეტის საქმის მწარმოებელს წარუდგინოს. თხოვნასთან უნდა წარმოდგენილ იქმნეს მოწმობა ამა თუ იმ უმაღლეს სასწავლებლის კურსის შესრულებისა, გამოცდების ჩაბარებისა, წლოვანებისა და ორას ორმოცდა ათი მანეთი (250 მ). 979 3—3

ოფიცერთა ეკონომიურ საზ. ზედამხედველი კომიტეტი აუწყებს
საზოგადოების წევრთ,

რომ ამა წლის 20 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე საზოგადოების შენობაში (კირკის ქუჩა № 7)

დანიშნულია რწმუნებულთა საერთო კრება.

განსახილველია შემდეგი კითხვა:

1) 1919 წლის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება
2) მოხსენება საზოგადოების გამგეობის, ზედამხედველი კომიტეტის და სარევიზიო კომისიისა საზოგადოების მდგომარეობის შესახებ მიმდ. წლის განმავლობაში.
3) მიმდინარე საკითხები. 987 3—1

ოფიციალური განყოფილება.

განკარგულებანი
მიწად-მოქმ. სამინისტროსი.

5 ოქტომბერი, 1920 წ., № 354.

გადაყვანილია: სახელმწიფო მამულთა განყოფილების შიკრიკი ნაზარ მაკაროვი სასოფლო მეურნეობის კურსებზე ამავე თანამდებობაზე ამა წლის 1-ლ ოკტომბრიდან.

დანიშნულია: სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში შიკრიკის თანამდებობაზე ალვა ბერიძე ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

№ 355.

დანიშნულია: სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში მანტიორის თანამდებობაზე კარლ იოსების ძე სმიტტი ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

7 ოქტომბერი, 1920 წ., № 356.

დანიშნულია: სახელმწიფო მამულთა განყოფილების ხუროთ-მოძღვრათ კაზიმირ გეოლოდორის ძე სკოლიმოვსკი ამა წლის 1 ნოემბერიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრის
ამხანაგი **მალანია.**

№ 358.

ვანთავისუფლებ-რა: მ. ნ. მანდელშტამს თანახმად მისი თხოვნისა მიწათ-მოქმედების სამინისტროს ცენტრალი სტატისტიკური კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან, ვუცხადებ მას დიდ მადლობას სამინისტროში ნაყოფიერი და მუყაითი მუშაობისათვის.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

8 ოქტომბერი, 1920 წ. № 359.

დათხოვნილია: გაგრის კლიმატიურ სადგურის გამგე დ. ი. ჯაფარიძე თანახმად მისი თხოვნისა ამა წლის 5 ოქტომბრიდან.

№ 360.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად მისივე თხოვნისა საქართველოს რესპუბლიკის საადგილ-მამულო ფონდის გამგე ვალენტინე ივანეს ძე კალანდარაშვილი ამა წლის 1 ოქტომბრიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიუცემლად.

ინიშნება: საქართველოს რესპუბლიკის საადგილ-მამულო ფონდის გამგეთ ნიკოლოზ ივლიანის ძე ყულიჯანოვი ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

9 ოქტომბერი, 1920 წ., № 361.

გადარიცხულია: სახელმწიფო მამულთა განყოფილების მანტიორი კარლი იოსების ძე სმიტტი ამავე განყოფილების ინსტრუქტორის თანამდებობაზე ამა წლ. 1 ოქტომბრიდან.

№ 362.

ინიშნება: პეტრე ივლიანეს ძე ებანოიძე, ტყის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწეთ.

მიწად-მოქმედების მინისტრის
ამხანაგი **მალანია.**

13 ოქტომბერი, 1920 წ. № 363.

ინიშნება: სტეფანე იულიანის ძე სტავსკი, ტყის გამგის პირველ ხარისხის თანაშემწეთ.

№ 364.

ინიშნება: იოსებ სიმონის ძე კოლელიშვილი, ტყის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწედ.

№ 365.

დანიშნულია: გიაურ-აარხის სახელმწ. მამ. გამგეთ მიხ. ბეგლ. ძე ნოდია ამა წლის 7 ოქტომბრიდან.

№ 366.

დათხოვნილია: ტფილისის სახელმწიფო ბოსტნის დარაჯი ივანე ოკინაშვილი სამსახურში გამოუცხადებლობის გამო ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

14 ოქტომბერი 1920 წ. № 367.

დროებით შტატ გარეშე მესაქონლეობის გამოსაკვლევად დანიშნულ იქმნან: მესაქონლეობის გამომკვლევთა პირველ წყების გამგედ ვ. ვ. კურდინოვსკი და გამომკვლევთა მეორე წყების გამგის თანაშემწეთ ა. ლ. ქობულაშვილი ამა წლის ოქტომბრის 1-დან.

№ 368.

ვანთავისუფლებულია: თანამდებობიდან აჯამეთის საცდელ მინდვრის საქმის მწარმოებელი გოგიშიძე მისი თხოვნის თანახმად ამა წლის სექტემბრის 15-დან.

№ 369.

გადაყვანილია: ტფილისის ბოტანიკურ ბაღის კონსერვატორის თანაშემწე ვერა გ. კოხრეიძე ბათომის ბოტანიკურ ბაღის უმცროს კონსერვატორად ამა წლის სექტემბრის 1-დან.

№ 370.

ინიშნება: ვასილ კაჭაყმაძე საცდელ საქმის სექციის საქმის-მწარმოებლად.

16 ოქტომბერი, 1920 წ., № 371.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან თანახმად მისი თხოვნისა საიჯარო განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწე ელენე კაპიტონის ასული ასათიანი ამა წლის 1 ოქტომბრიდან.

№ 372.

გადაყვანილია: სასოფლო მეურნეობის განყოფილების სპეციალისტი კონსტანტინე ბერეკაშვილი ართვინის ზეთის ხილისა და ხეხილის სანერგის გამგეთ ამა წლის 15 ოქტომბრიდან.

№ 373.

დანიშნულია: ლეონიდი კალანდაძე სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს ინსტრუქტორის თანამდებობის აღმასრულებლად ამა წლის ნოემბრის 1-დან.

№ 374.

გადაყვანილ იქნა: ტფილისის ბოტანიკურ ბაღის კოლხიდის განყოფილების გამგეთ ტფილისის ბოტანიკურ ბაღის უმცროსი მებაღე ლევიკ ულონის ძე დელონე ამა წლის 15 ოქტომბრიდან.

18 ოქტომბერი, 1920 წ., № 375.

ინიშნება: ვლადიმერ გიორგის ძე რუხაძე, ტყის გამგის მეორე ხარისხის თანაშემწეთ.

№ 376.

ინიშნება: სამინისტროს სამეჯნაო განყოფილებაში მეორე რიგის მიწის მზომლად ანდრია ანდრიას ძე ბიკოვჩენკო 18 ამა წლის ოქტომბრიდან.

30 ოქტომბერი, 1920 წ., № 377.

დაინიშნა: საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგეთ პარმენ დათას ძე ეგუტია ამა წლის 1-ლ ოქტომბრიდან.

№ 378.

დათხოვნილია: თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან ტყის გამგის თანაშემწე პეტრე იულიანის ძე შირინსკი, 1 ოქტომბრიდან თანახმად მისი თხოვნისა.

მიწათ-მოქმედების მინისტრი
ნ. ხომერიკი.

არა ოფიციალური განყოფილება.

დამფუძნებელი კრება
არა ჩვეულებრივი სხდომა.

5 ნოემბერს შესდგა არაჩვეულებრივი სხდომა დამფუძნებელ კრებისა. განსახილველი იყო საკითხი ქემალისტების სომხეთზე თავდასხმით ჩვენი რესპუბლიკისათვის შექმნილ მდგომარეობის შესახებ. დაესწრენ უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და აუარებელი გარეშე საზოგადოება.

თავმჯდომარეობს ალ. ლომთათიძე. სხდომის გახსნისას მან შემდეგი სიტყვებით მიმართა კრებას:

მოქალაქენო, დამფუძნებელ კრების წევრებო! ჩვენი დღევანდელი სხდომა არაჩვეულებრივია. ეს გამოწვეულია არაჩვეულებრივ მდგომარეობით, რომელიც ჩვენს გარშემო შეიქმნა უკანასკნელ ხანებში ოსმალეთის სომხეთზე თავდასხმის გამო. ამ ხნის განმავლობაში, როდესაც ჩვენ არ ვიკრიბებოდით, მოხდა ისეთი ამბები, რომელმაც დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმი ჩააფიქრა და აიძულა მოეწვია დამფუძნებელ კრების საგანგებო სხდომა, რათა მას გამოეთქვა თავისი აზრი, როგორც რესპუბლიკის უზენაეს უფლებების მატარებელ ორგანოს. უტყუარი ჭეშმარიტებაა, რომ რომელიმე სახელმწიფოს დამოუკიდებლობა უზრუნველყოფილია მაშინ, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებსაც აქვთ ასეთივე დამოუკიდებლობა და თავისუფლება. რუსეთის იმპერიის დაშლის შემდეგ სომხეთი და საქართველო იბრძვიან თავის დამოუკიდებლობისათვის; ეს ბრძოლა ჯერაც არ დასრულებულა და არ შეიძლება ითქვას ისიც, რომ იგი დასრულებული იქნება ხვალ. კერძოთ სომხეთის დემოკრატია ამ დღეებში მეტად მძიმე, საშინელ პირობებში ჩავარდა. მე არ შევეხები დაწვრილებით მის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის აწერას; ამ ბრძოლაში მან მოიპოვა დამოუკიდებლობა. მაგრამ მტერი არ დაცხრა და დღეს ოსმალეთის ერთმა ნაწილმა გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელმაც აუტანელ მდგომარეობაში ჩააგდო სომხეთის ხალხი. მე მოგახსენებთ ქემალ-ფაშას ჯგუფის მოქმედების შესახებ. ეს ჯგუფი დაიძრა სომხეთისაკენ და დღეს ყარსი უკვე მის ხელშია. არ შეიძლება ამ გარემოებას ჩვენ სერიოზული ყურადღება არ მივაქციოთ. დამფუძნებელი კრება დღესაც, როგორც ყოველთვის, თავის გადამჭრელ სიტყვას ეტყვის ჩვენს ხალხს და ეს სიტყვა აღაფრთოვანებს ჩვენს დემოკრატიას და გამოიყვანს მას, როგორც ერთ კაცს, სამშობლოს დასაცავათ, ვინაიდან მოსალოდნელია, რომ მტერი არ შეჩერდება და მოისურვებს ჩვენი საზღვრების გადმოლახვასაც.

საერთო მდგომარეობის შესახებ მთავრობის სახელით განცხადებას აკეთებს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. ბ. რამიშვილი.

ნოე რამიშვილის სიტყვა

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო!

საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებზე კვლავ გამოჩნდა შავი ღრუბლები, ჩვენს არსებობას და თავისუფლებას კვლავ წინ ეშლება შავი აჩრდილი. ჩვენი ხალხი კვლავ დგება საგარეო საფრთხის წინაშე. ამ ჟამათ ეს

საფრთხე მოდის სამხრეთიდან. სამხრეთის ჭიშკრებთან გამოჩნდენ ოსმალეთის ლაშკრები. ქემალ-ფაშის მიერ ყარსისა და სომხეთის სხვა ნაწილების დაკავებამ შექმნა საქართველოსთვის ახალი მდგომარეობა, ახალი სამეზობლო ურთიერთობა და თუ ჩვენ ახლავე ამაში არ გავერკვიეთ და შესაფერი პოზიცია არ დავიჭირეთ,—მერე გვიანი იქნება. ვინ არის ქემალ-ფაშა—ეს ოსმალეთის გამდგარი გენერალია, რომელიც არ სცნობს ოსმალეთის ომში დამარცხებას და მის შედეგებს, უარყოფს ოსმალეთის კანონიერ მთავრობას და მის მიერ დადებულ ზავის პირობებს და აგრძელებს ენვერ-ფაშის პოლიტიკურ პროგრამას და ვეხიბ-ფაშის სამხედრო გეგმებს. ის, დამარცხებული მცირე აზიაში ელინთა ჯარების მიერ, დევნილი ზღვებიდან ინგლისის მიერ, მოეშურება ამიერ-კავკასიისაკენ, შიგნით—სამშობლოში დაცემულ პრესტიჟის აქ აღსადგენათ. მეორდება 1918 წლის აპრილის ამბები იმ განსხვავებით, რომ მაშინ ჩვენ საქმე გვქონდა ძლევა—მოსილ ოსმალეთთან და მის მოკავშირე ცენტრალურ სახელმწიფოებთან; ახლა კი დაუძლურებულ ოსმალეთის ურჩ მხედრებთან. სომხეთზე თავდასხმა და მისი განიავება პირდაპირი მუქარაა ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისათვის. სომხის ერის კვლავ მონობაში ჩავარდნა ნიშნავს ჩვენი თავისუფლების მუდმივ განსაცდელში ყოფნას. დამოუკიდებელი სომხეთი აუცილებელი პირობაა დამოუკიდებელ საქართველოს არსებობისათვის. თუ ამას დავუმატებთ ქემალ-ფაშის მთავრობის საპროტესტო ნოტას, რომელიც ჩვენ მან გამოგვიგზავნა აგვისტოში ბათომის ოლქის დაკავების გამო,—დავინახავთ, რომ ქემალ-ფაშის ლაშქარი არ დაკმაყოფილდება სომხეთით და ჩვენსკენაც გამოილაშქრებს. ჩვენ, რასაკვირველია, არ ვერევით ქემალ-ფაშის შინაურ საქმეებში. ჩვენის აზრით, ოსმალეთის სწორათ გაგებული სახელმწიფოს ინტერესები უეჭველათ მოითხოვენ საქართველოს დამოუკიდებლობას და ჩვენთან კეთილ-განწყობილების დამყარებას. მაგრამ ეს ჭეშმარიტება ოსმალეთის მოღვაწეებმა ვერ გაიგეს 1918 წელ. და, ალბათ, ვერ იგებენ ვერც ახლა. წუთიერი, წარმავალი ინტერესების მუდმივ ინტერესებზე მაღლა დაყენება ნიშანდობლივი თვისებაა ბეცი პოლიტიკის და, ალბათ, ამით აიხსნება ქემალისტების საპროტესტო ნოტა და მათი აგენტების აგიტაცია საქართველოს საზღვრებში. და აი, აქ ჩნდება მთელი სიმართლე ბრძნული თქმულების: „თუ გნებავთ მშვიდობიანობა, ემზადეთ ომისათვისო.“ თუ გნებავთ ქემალის ლაშქრის თავიდან აცილება,—წინ დაუყენეთ მას ისეთივე ლაშქარი, აჩვენეთ მას შესაფერი სამხედრო ძალა და იგი იძულებული იქნება ჩვენს საზღვრებს გზა აუაროს. ქემალ-ფაშა ემყარება არა იმდენათ თავისი სუსტ ძალას, რამდენათაც ბალშევიკებისა და ადგილობრივ მუსულმანების თანაგრძნობას.

ჩვენ გვაქვს მოსკოვის მთავრობის კატეგორიული განცხადება, რომ ის ჩვენთან დადებულ ხელშეკრულებას სავსებით, ემყარება, ბათომის ოლქს საქართველოს უდაო ნაწილათ სცნობს და ქემალ-ფაშის საქართველოში გამოლაშქრებას დაუშვებლათ აღიარებს. ამ დაპირებას არ ახლავს არავითარი გარანტია და არც შეიძლება ახლდეს. გარანტია არის მხოლოთ ჩვენი ძალა, ჩვენი მომზადება, ჩვენი მამაცობა. ჩვენ ახლა არა ვართ ის, რაც ვიყავით 1918 წელს. ახლა ჩვენ გვაქვს მოწყობილი სახელმწიფო, გვყავს ბრძოლებში გამოწრთვნილი მუდმივი ჯარი და სახალხო გვარდია, გვაქვს ხალხის ერთსულოვნება,—და აი ეს არის ჩვენი თავისუფლების გარანტია, ჩვენი ბატონობის და სუვერენობის უძრუნველყოფა. ყოველ შემთხვევაში, ერთი მაინც ვიცით: მოსკოვის მთავრობა აქტიურ დახმარებას ქემალისტებს ჩვენს წინააღმდეგ არ გაუწევს. და რათა ამათ მთავარ იმედათ ადგილობრივი მუსულმანები, განსაკუთრებით ბათომის ოლქის მცხოვრებნი, სადაც ქემალისტების აგენტებმა უკვე წამოყვეს თავი და შეუდგენ მოღალატეობრივ ქსელის გაბმას. ამ მუშაობას ეწევიან განსაკუთრებით ოლქის უმუშევარი მცხოვრებნი, რომელთაც ავანტიურიზმი და ხალხის აწიოკება თავის სარჩენ წყაროთ გაუხდიათ. მშრომელი ხალხი, პირიქით, ყოველ არევ-დარევას გაურბის და ცდილობს წინანდელი შემოსევებით აკლებული თავისი სახლ-კარი აღადგინოს, თავისი წაფორხილებული ეკონომიური მდგომარეობა შრომითა და გარჯით გააუმჯობესოს. ამათთვის ყოველგვარი ლაშქრობა პირდაპირ დამღუპველია. საქართველოს მუსულმანებმა არა ერთხელ გამოცდილებით იციან, რომ ოსმალეთის რაზმების ჩვენში შემოსვლა მუდამ თავდება მათი დარბევით და ბოლოს ამ რაზმების უკან გაქცევით. მათ უნდა იცოდენ, რომ იგივე განმეორდება ეხლა. უნდა იცოდენ, თუ ძლევა-მოსილი ოსმალეთი იძულებული იყო დაეტოვებინა მთელი ამიერ-კავკასია—ქემალის აჭრელებული, სახელდახელოდ შეკოწიწებულ რაზმებს ჩვენს ქვეყანას არავინ დაანებებს. აქ ერთ დღესაც ვერ გაჩერდებიან და მათი შემოსვლის შედეგი მთელი თავისი სიმძიმით დააწვებათ პირველ ყოვლისა მათ შემომყვანთ, მათ მიმდევართ და დამხმარე ქართველ მუსულმანებს. ჩვენ აი აქედან, ამ ტრიბუნიდან ვაფრთხილებთ და მოვუწოდებთ თავისი ერთგულებით დაიმსახურონ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეობა და თავისუფლება. ამით ჩვენ მოგვეცემა საშვალება ბათომის ოლქში განვახორციელოთ დაპირებული რეფორმები, დავამყაროთ თანახმად ადგილობრივ ხალხის სურვილებისა ახალი ნორმალური მმართველობა და მით შეძლება მივცეთ ამ ოლქს ყოველმხრივი განვითარებისა. ქემალისტების გამოჩენამ ეს მუშაობა შეაჩერა და იძულებული ვართ ოლქში საგანგებო წესები კვლავ დავსტოვოთ და იქ სასტიკი წესიერება დავიცვათ. საქართველოს რესპუბლიკამ იცის ერთგულობის დაფასება, მაგრამ ორგულთ და მოღალატეთ შესაფერად გადაუხდის. მთავრობა ღებულობს ყოველგვარ ზომებს მთელს რესპუბლიკაში, როგორც მოღალატეთა გამოსვლების თავშივე ჩასაკლავად, ისე გარეშე საფრთხის შესაფერად დასახვედრად.

მთავრობა დარწმუნებულია, რომ საქართველოს მთელი დემოკრატია განურჩევლად პარტიისა ამ დიდ საბედისწერო ბრძოლაში მას მხარს დაუჭერს და მისცემს შეძლებას მტერს მტრულად—ძველებურად, მამაცურად დაუხვდეს. ჩვენ არ ვიჭრებით სხვის საზღვრებში; ჩვენ თავს არ ვესხმით არავის; ჩვენ ვიცავთ მხოლოდ ჩვენს თავს, ჩვენს საზღვრებს, ჩვენს ნაშრომს, ჩვენს ქონებას და ამ წმინდა მართალ საქმეში ჩვენთან იქნება მთელი ჩვენი ხალხი, ჩვენ დაგვიჭერს მხარს მოწინავე კაცობრიობა. (ხანგრძლივი ტაში).

6. რამიშვილის განცხადების მოსმენის შემდეგ ილაპარაკეს ფრაქციების წარმომადგენლებმა. ყველა ორატორი ერთხმად აღნიშნავდნენ მდგომარეობის სერიოზულობას და გამოსთქვამდნენ რწმენას, რომ საქართველოს დემოკრატია ერთსულოვანათ ხმლით ხელში გამოვა სამშობლოს დასაცავათ, თუ მდგომარეობა გართულდა და მტერმა განიზრახა ჩვენი საზღვრების გადმოლახვა (ორატორების სიტყვებს დაწვრილებით შემდეგ მოვიყვანთ).

კამათის დასრულების შემდეგ მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია, წარმოდგენილი სოც.-დემ. ფრაქციის მიერ:

რეზოლიუცია.

„მოისმინა რა მთავრობის განცხადება. მეზობელ სომხეთში შექმნილ მდგომარეობის შესახებ, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს თავის ულრმეს თანაგრძნობას დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ სომხის ერისადმი და იმედოვნებს, რომ ის გამარჯვებული გამოვა იმ ეროვნულ განსაცდელისაგან, რომელიც მას ემუქრება.

ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ თვით საქართველო არ არის უზრუნველყოფილი მსგავსი განსაცდელისაგან, დამფუძნებელი კრება გამოსთქვამს ღრმა და მტკიცე რწმენას, რომ საქართველოს ხალხი, როგორც ყოველთვის, დღესაც ერთსულოვანად დაირაზმება დამოუკიდებლობის და თავისუფლების დასაცავათ. ჩვენ გვწამს, რომ მოგველის საფრთხე და დამფუძნებელ კრებას საშუალება მიეცემა განაგრძოს ორგანიული მუშაობა შინაურ ცხოვრების მოსაწყობათ, როგორც ცენტრში, ისე სამუსლიმანო საქართველოში, სადაც ადგილობლობრივი პირობების მიხედვით განხორციელებული იქნება მართველობის დემოკრატიული წესი ავტონომიურ ნიადაგზე.

„დამფუძნებელი კრება, იწონებს რა მთავრობის მიერ თავდაცვისათვის მიღებულ ზომებს, ავალებს მას განაგრძოს დაწყებული სამზადისი, დარწმუნებული, რომ რესპუბლიკის დაცვის საქმეში გაერთიანდება მთელი საქართველო, განურჩევლად სარწმუნოებისა და სოციალური მდგომარეობისა და მას მხარს დაუჭერს მთელი ევროპის დემოკრატია.

დამფუძნებელი კრება ავალებს თავის პრეზიდიუმს მიმართოს საქართველოს ხალხს შესაფერი მოწოდებით“.

რეზოლიუცია მიღებულ იქნა ერთხმად წინააღმდეგ ესერების ფრაქციის ხმებისა.

მდგომარეობა სომხეთში

სომხეთის დიპლომატიურ მისიის ცნობა.

(ნოემბრის 6.)

ნოემბრის 5 თურქებმა დიდის ძალებით შემოგვიტიეს ალექსანდროპოლის რაიონში. შემოტევა უკუგდებულია. დამატებით იუწყებიან, რომ ნოემბრის 5 ოსმალთა ჯარებს ალექსანდროპოლის რაიონისათვის სამჯერ შემოუტევიათ აგაბ-ბის თათრებთან ერთად, შეიოტევა ჩვენებს მოუგერებიათ. სომხეთის ჯარებმა სადგ. კიზილ-ჩახჩახი დაიკავეს.

პარლამენტის სხდომა.

1 ნოემბერს შესდგა სომხეთის პარლამენტის სხდომა. მინისტრთა ლოჟები და აგრეთვე ხალხის ადგილები მთლად გაჭედილი იყო. სხდომის გახსნისას სიტყვას ამბობს მინისტრი-თავმჯდომარე, რომელიც ეხება თანამედროვე მომენტს. პრემიერმა თავის სიტყვა ამ დასკვნით დაამთავრა: რომ მიუხედავად მათი სამხედრო მარცხისა, სომხეთმა მაინც მტკიცედ გადასწყვიტა კარზე მომდგარ მტერს მთელი თავისი ძალღონით წინააღმდეგობა გაუწიოს. მინისტრ-თავმჯდომარის შემდეგ ლაპარაკობენ პარტიის წარმომადგენელნი. ყველა ორატორებმა ერთხმად აღნიშნა სასტიკ მტერთან ბრძოლის აუცილებლობა.

სომეხ ქალთა მიტინგი.

ერევანში სომეხ ქალთა მიტინგი შესდგა. მიტინგმა სომხეთში შექმნილ მდგომარეობის გამო შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა:

1) იწონებს რა მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს სამშობლოს თავდაცვის საქმეში სომხეთის ქალები აცხადებენ, რომ ისინი მთელი თავისი ძალღონით დაეხმარებიან და ხელს შეუწყობენ მთავრობას; 2) წინადადება მიეცეს ყოველ მამაკაცთ, ვისაც კი ხელში იარაღის ტარება შეეძლება გავიდეს საომარ ველზე და დაიცვას სამშობლო; 3) ყოველი ქალის ვალდებულება იყოს მოსძებნოს დეზერტირები და ფრონტზე გაგზავნოს; 4) მოწოდებით მიმართონ ყველა სომეხ ქალს, რათა ხელი შეუწყონ სომხეთის თავისუფლების დაცვაში და არავითარ მსხვერპლს არ მოერიდონ ამ დიდებულ საქმეში.

ყარსის აღების გამო.

გაზეთი „აშხატავორი“ შემდეგს გადმოგვცემს: ვიდრე ყარსი დაეცემოდა ოსმალეთის ტყვეები ირწმუნებოდნენ, რომ სომხეთს არავითარი საფრთხე არ მოელის ქემალისტების მხრივ, ვინაიდან მისი ჯარი შესდგება მხოლოდ ცხრა ათას ასკერისაგანაო. მაგრამ საქმე სულ სხვას აჩვენებდა, აღბაბინის ოლქში უკვე რაღაცა მოძრაობამ იჩინა თავი. ზანგეზურში აქა-იქ უკვე ოსმალები თავს ესხმოდნენ სომეხთა მცხოვრებლებს. თვით ადგილობრივ მაჰმადიანთა გარდა გაჩნდნენ კიდევ ბევრი სხვა მაჰმადიანთა აგენტები. მათ შორის ერევნენ მალაკნებიც, რომელნიც დაძრწოდნენ და ხალხში პროკლამაციებს ავრცელებდნენ: „თქვენ არ გიყვართ ლეგრანი, მაგრამ თქვენ მალე დაინახავთ, რომ ყარსი დაეცემა და მაშინ ლეგრანს შეეხვეწებით, რომ ლეგრანმა გაიყვანოს ქემალი ყარსიდან“.

როგორ დაეცა ყარსი.

სომხეთისთვის ყარსი მოულოდნელად დაეცა. ოსმალებმა დიდ ძალებს მოუყარეს თავი ყარსის გარშემო და მთელი ფრონტი გრძელდებოდა აღბაბიდან სადგურ ანიმდის. ჯერ ისევ 28 ოქტომბერს იერიშები ოსმალებმა არამ ვარდანის რაიონებში დაიწყეს. ამავე დროს მათ დაიკავეს სადგური მაცრა. ამ ადგილას საომარი ოპერაციების დაწყება უკვე საფრთხეს უმზადებდა ყარსს და გუმბრს. სომხეთის ჯარი ამ რაიონებში გაიგზავნა პოზიციების დასაკავებლად. ქემალი მოუახლოვდა ყარსის ციხეს. დაიწყო დიდი ბრძოლა. ქემალს ძალები თანდათან ემატებოდნენ. სომეხთა ძალები სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ გამხეცებულ მტერს. 30 ოქტომბერს ოსმალები მოუახლოვდნენ ყარს 8 ვერსით, სომხებმა გადასწყვიტეს უკანასკნელ სისხლის წვეთამდის ებრძოლათ და არ დანებებოდნენ მოწინააღმდეგეს. 30 ოქტომბერს დილით ბრძოლა უფრო გაცხარდა. ყარსის მცხოვრებთ დაიწყეს ქალაქიდან გასვლა. ყარსის ბედი მალე გადასწყდა. მტერმა წინ წამოიწია და 31-ს ოქტომბერს შუადღის პირველ საათზე ყარსი დაეცა.

ხალხის განწყობილება.

ყარსის აღების ამბავი მთელ სომხეთს ელვის სისწრაფით მოედო. ოსმალების ვერაგობამ ყველა ფეხზე დააყენა. რკინის გზის მოსამსახურეებმა თავი გაანებეს მუშაობას და ფრონტისკენ გაეშურნენ. ხალხში მღელვარებაა, მაგრამ ყველა სამშობლოსთვის თავს სწირავს უკან არავინ დგება.

უცხოეთი

მექსიკის დამოუკიდებლობის შესახებ.

შეერთებულ შტატების მთავრობა პრინციპიალურად უარყოფს გავრცელებულ ხმებს მექსიკის დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ. ამერიკის მთავრობა მოელის, რომ მექსიკა დაამტკიცებს თავის კეთილ სურვილებს ამერიკის მიმართ.

ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია.

ერთა ლიგის თანხმობით მოწვეულია საერთაშორისო ვაჭრობის მომწესრიგებელი კომისია. კომისიამ საჭიროდ აღიარა, რომ ნახშირზე, ხორბალზე და სხვა სურსათზე თუნდაც ხელოვნურად დასწიონ ფასები.

ესპანეთში.

ციურიხის ახალი გაზეთის ცნობით ესპანიაში უკანასკნელად მომხდარ არეულობებმა მდგომარეობა მეტად შეარყია მუშების გამოსვლა ანარქიულ ხასიათს ღებულობს. ეს მოძრაობა, რომელიც პირველად ბარსელონში დაიწყო შემდეგ სარაგის, მადრიდს, გალენსისა და ვილბათშიც გავრცელდა. შესდგა ორი დამოუკიდებელი ორგანიზაცია—მუშათა და შრომის კავშირი. მუშათა მასას ინტელიგენციისა და პარლამენტის წინააღმდეგ ამხედრების და ძალდატანებით გადატრიალებისაკენ მოუწოდებს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

გერმანული პრესა.

უნგრეთში.

ბუდაპეშტიდან მოსული დეპეშა იუწყება: უნგრეთის საგარეო საქმეთა კომისიამ, იაპონის მიერ ტრიანონის ხელშეკრულების შესახებ მოხსენების მომენტის შემდეგ ტრიანონის ხელშეკრულობის რატიფიკაციის პროექტი მიიღო.

ინგლისის თემთა პალატაში.

თემთა პალატაში ლორდ-კერზონმა განაცხადა: მოკავშირეთა კომისიას კონსტანტინოპოლში არასდროს არ ვაუცია ბრძანება შავი ზვაზე ბლოკადის დაწესებისა საბჭ. რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ რაც შეეხებათ ოსმალთა ნაციონალისტებისათვის, სამხედრო მასალის მოწოდებას, ხმელთა შუა ზღვის საზღვაო ძალების სარდალი ფხიზლათ ადევნებს თვალყურს, რომ სამხედრო მასალა არავინ გაიტანოს.

ლიონის ცნობა.

სავაჭრო ხელშეკრულება.

საფრანგეთისა და ჩეხიას სავაჭრო ხელშეკრულობაზე ხელი მოაწერეს ხუთშაბათს საფრანგეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლეიგმა ვაჭრ. მინისტრმა და ჩეხო სლოვაკების სახელით ხელი მოაწერა ფილდინგერმა.

ოსმალეთში.

მოლაპარაკების დროს, რომელზედაც მონაწილეობა მიიღო იტალიის საფრანგეთის და ინგლისის მთავრობამ გადასწყვიტა, მოკავშირეთა სამხედრო კომისიის თავმჯდომარეთ ოსმალეთში იქნეს პირველი პერიოდის დაახლოვებით ორი წლის განმავლობაში ბრიტანეთის ჯარის ოფიცერი. იგივე იქნება სარდალი მოკავშირეთა მთელი ჯარის. რომელიც ხელშეკრულობის თანახმად სრუტეების ზონაში დარჩება. მეორე მხრით ხელშეკრულება გულისხმობს ფინანსიური კომისიის დაარსებას. ფართე უფლებებით კომისიაში შევა 3 კაცი (ინგლისელი ფრანგი და იტალიელი) და ერთიც ოტომანის სახელმწიფოს წარმომადგენელი სათათბირო ხმით. ეს კომისია დაამტკიცებს სესხის ბიუჯეტს და კონცესიებს და საერთოთ მას ხელთ ექნებათ ოსმალეთის მთელი რესურსები, მოკავშირე სახელმწიფოები შეთანხმდენ, რომ საფრანგეთის წარმომადგენელი პირველი იქნეს ამ კომისიაში. იტალიის წარმომადგენელი რკ. გზ. კომისიის თავმჯდომარეთ იქნება.

მუშაობა მაღაროებში.

იუწყებიან, რომ ინგლისის მაღაროებში მუშაობა უინციდენტოთ დაიწყო.

შვეიცის სამხედრო მისია.

პარასკევს ელისეს სასახლეში პრეზიდენტმა მიიღო შვეიცის სამხედრო მისია, რომელიც საფრანგეთში ჯარის ორგანიზაციის შესასწავლათ ჩამოვიდა.

კოლონიალური გამოფენა.

მარსელში კოლონიალური გამოფენა გაიხსნება 1922 წელს. ყველმ ახალშენი სიამოვნებით გამოეხმაურა მოწოდებას. განსაკუთრებულ ადგილს დაიკერს ინდო-ჩინეთი, რომელმაც განვითარების მნიშვნელოვან საფეხურს მიაღწია როგორც ეკონომიური აგრეთვე სოციალური მხრივ.

ევროპაში.

უკანასკნელი დადგენილებანი.

თანახმად თავისი თხოვნისა განთავისუფლდეს მოვალეობის აღსრულებიდან აზერბეიჯანში მყოფი საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი ექიმი გრ. ალშიბაია, რომელიც საზღვარ გარეთ აპირებს გამგზავრებას.

— გადაეცეს ჯანმრთელობის დეპარტამენტს კურორტი აბასთუმანი.

— აღიკრძალოს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებიდან ყოველგვარ წიგნების გატანა. ეს აკრძალვა არ ვრცელდება სომხურ და თათრულ ენაზე დაბეჭდილ წიგნებზე.

შრომის სამინისტროში

მუშა-მოსამსახურეთა დაჯილდოება.

შრომის სამინისტროს მიერ შემუშავებულ პროექტს ქალაქ ტფილისის მუშებსა და მოსამსახურეების დაჯილდოების შესახებ შემდეგი დებულება უდევს საფუძვლად: 1) ჯილდო მიეცემა: ა) შრომის ნაყოფიერებისათვის, ბ) მრეწველობისათვის საჭირო მასალისა და იარაღის მომჭირნეობისათვის, გ) უვარგისის საქონლის რაოდენობის შემცირებისათვის; 2) შრომის ჯილდოს ნორმა შემუშავებულ იქნება პროფ. კავშირებთან შეთანხმებით. 3) შრომის ჯილდო სატარიფო პალატის მიერ შემუშავებულ ხელფასის ან ჯამაგირის 200% არ უნდა აღემატებოდეს.

— შრომის სამინისტროს ამ პროექტის განსახილველად მოწვეულ იქმნა განსაკუთრებული თათბირი სხვა და სხვა სამრეწველოების მუშათა წარმომადგენლების მონაწილეობით. თათბირმა საჭიროდ სცნო შრომის დაჯილდოების პროექტის სასწრაფოთ განხორციელება. შრომის დაჯილდოება გატარდება შემდეგ სამრეწველოებში: ა) სატრანსპორტო საზოგადოების ლითონის ქარხნებში. ბ) ელექტრონის მრეწველობაში, ხე-ტყის სახერხ ქარხნებში, ადელხანოვის ქარხანაში და სხვაგან. თათბირმა შესაძლებლად სცნო მუშა ძალის ეკონომიისათვის ჯილდოს შემოღება მელითონე, ელექტრონზე, ბეჭდვით საქმესა და გარაჟებში მომუშავე კვალიფიციურ მუშათათვის. საწარმოო იარაღებისა და მასალის ეკონომიისათვის და უვარგისი საქონლის რაოდენობის შემცირებისათვის ჯილდოს შემოღება თათბირმა შესაძლებლად სცნო მრეწველობის ყველა დარგში.

მოწოდება

საქართველოს რესპუბლიკის სამაზრო და სათემო ერობების გამგეობებს.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება ასახლებს უმამულო და მცირე მიწა-წლის მქონე მოქალაქეთ ყარაის ველზედ და ახალქალაქის მაზრაში. ამ მიზნისთვის განყოფილების განკარგულებაში იმყოფება ყარაიაში 2.000 დესიატინამდე საუკეთესო ნიადაგის სარწყავი მიწები და ახალქალაქის მაზრაში 20.000 დესიატინამდე ურწყავი, მაგრამ ნოყიერი მიწები. უკანასკნელი რაიონი განთქმულია როგორც თავისი მდიდარი ხორბლეულობის მოსავალით და საძოვრებით, აგრეთვე საუცხოო ჯანსაღი ჰავით და სასმელი წყლებით და ვარგისია დასასახლებლად უმთავრესად მაღალი ადგილების მცხოვრებთათვის, რომელნიც მისდევენ ხორბლეულობის და მესაქონლეობის კულტურას, როგორიც არიან: რაჭველები, ლეჩხუმელები, ზემო-იმერლები, ზემო-ქართლელები, მოხევეები, მთიულები, თუშები და ფშავები. ხოლო ყარაის ველი გამოსადეგია დასასახლებლად უმთავრესად გურიის, სამეგრელოს, ქვემო-იმერეთის და სხ. დაბლობი ადგილების მცხოვრებთათვის, რომელნიც შეჩვეული არიან ცხელ ჰავას და მალიარიან ადგილებში ცხოვრებას. ამ რაიონის გასაჯანსაღებლად მიღებულია ზომები: გაგზავნილია ამ ჟამად ექიმთა და სხვა სპეციალისტთა ექსპედიცია, რომელიც ერთი მხრით საფუძვლიანად წამლობს მალიარიიდან დაავადებულებს, რომ ამ გვარად სრულიად მოისპოს ეს სენი ყარაიაში მცხოვრებთა აგებულებაში, მეორე მხრით იკვლევს მალიარიის გამავრცელებელ კოლოების ბუდეს-ჭაობებს და იმუშავებს პროექტს ამ ჭაობების დაშრობისას, რომ ამ გვარად ძირ ბუდიანად მოისპოს ციებ-ცხელების გავრცელების შესაძლებლობა, როგორც ეს უკვე მოხდენილია იტალიაში, საფრანგეთში და სხვა განათლებულ ქვეყნებში.

თითეულ გადასახლებულ ოჯახს განყოფილება აძლევს ყარაიაში 5 დეს. მიწას, ხოლო ახალქალაქის მაზრაში 8—10 დეს., რომელსაც შეისყიდის გადასახლებულს ხუთი წლის შემდეგ შელავათიან ფასებში უკანასკნელის 10 წლის განმავლობაში ნაწილ-ნაწილ გადახდით. როგორც ყარაიაში, აგრეთვე ახალქალაქის მაზრაში განყოფილება უწევს გადასახლებულებს დახმარებას ადგილზე მათი ბარგით და საქონლით რკინის გზით გადაყვანით, სათესლე ხორბლით, სამეურნეო იარაღებით, მუშა-საქონლით, შენობების ასაგები მასალით და სხ. ყოველივე ეს გადასახლებულებს ეძლევათ უპროცენტო სესხად, რომელიც გადახდილ უნდა იქნას გადასახლებულისაგან დასახლებიდან 5 წლის შემდეგ ნაწილ-ნაწილ 10 წლის განმავლობაში.

ახალ ადგილზე გადასახლებულთ უფლება აქვთ ორი წლის განმავლობაში დღიდან დასახლებისა გადასცენ სხვას ან გაჰყიდონ თავიანთი უძრავი ქონება ძველ ბინადრობაზე, ეხოლოდ ადგილობრივი სათემო ერობის ნებართვით.

გაუწყებთ-რა ამას, განყოფილება გთხოვთ გამოუცხადოთ ზემოხსენებული თქვენი მაზრის და თემის უმამულო და მცირე მამულის პატრონთ. გადასახლების მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილებას ცალკ-ცალკე ან ჯგუფად პირადად ან რწმუნებულებით და სათემო ერობისაგან შემოწმებულ ცნობებით ბლანკზე, რომელიც ამასთანავე გეგზავნებათ. განყოფილება დაუყონებლივ გააგზავნის მათ ადგილზე, სადაც ყოველგვარი დახმარებას გაუწევს განყოფილების რწმუნებული.

მიწათ-მოქმედების სამინისტროს გადასახლების განყოფილება.

ქართულ-ფრანგულ სავაჭრო პალატაში.

ოთხშაბათს ნოემბრის 3-ს ქართულ-ფრანგულ სავაჭრო პალატის შენობაში საფრანგეთის ვაჭრობა და მრეწველობის წარმომადგენელთან ერთად პალატის წევრთა გაერთიანებული თათბირი შესდგა. თათბირს სხვათა შორის დაესწრენ: რუბო, ლორანი, ბუსკერელი, ვერმერეი, და სხვები. თათბირი დიდხანს გაგრძელდა და საკითხების განხილვა შემდეგი სხდომისათვას გადაიდვა. საქართველოს და საფრანგეთის ვაჭრობა-მრეწველობის წრეების დასაახლოვებლად გადაწყვეტილია მოეწყოს ყოველ კვირაში ოთხშაბათობით სხდომები, რომლებზედაც გარჩეული იქნება ის საკითხები, რომლებიც საქართველოს და საფრანგეთის შორის სავაჭრო და მოკიდებულებას შეეხება. განზრახულია ამ თათბირზე მოიწვიოს საქართველოს სავაჭრო წრეების გამოჩენილი წარმომადგენლები.

ქალაქის საერთო საავადმყოფო კასა

შრომის კომისრის თავმჯდომარეობით ნოემბრის 4 შესდგა ქალაქის საერთო საავათმყოფო კასის რწმუნებულთა კრება. დაესწრო დაახლოვებით 300 დელეგატი. თათბირმა მოისმინა მოხსენება კასის მოღვაწეობის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნული იყო, რომ საავათმყოფო კასამ მოაწყო კასის მონაწილეთათვის წამლებითა და მშობიარობის და დასაფლავების დროს ფულით დახმარება და სხ. ამასთანავე საავათმყოფო კასას განზრახული აქვს მოაწყოს ლექციები გადამდებ სნეულობისა შესახებ. მოხსენება მოიწონეს შემდეგ მოისმინეს მოხსენება საქართველოს საავათმყოფო კასების კონფერენციის საორგანიზაციო კომისიისა. თათბირმა დაავალა კასის გამგეობასა და საორგანიზაციო კომიტეტს, იზრუნონ, რათა მოკლე დროში, შეიცვალოს მუშათა დაზღვევის კანონი ცხოვრების პირობებთან შეფარდებით. გადასწყდა კასის მონაწილეთა დახმარების საქმე თვით კასას გადაეცეს. ბოლოს კასის გამგეობას წინადადება მისცეს, რომ კასის მონაწილეთა საჭიროებისათვის დაეხარჯათ სატრიალებელ თანხის $^1/_9$ მაგივრად $^1/_3$. კრებამ აირჩია ძველი სარევიზიო კომისია ხელმეორეთ და გამგეობის რამდენიმე წევრი.

ახალი ამბები

✦ **კოოპერატიული ცხოვრება.** საქართველოს კოოპერატიულმა ბანკმა თავის შემოსავალ გასავალის ანგარიში შეადგინა. ბალანსი უდრის 62.841.120 მან. გასულ თვეში ბალანსმა სექტემბერთან შედარებით 17 მილ. და 744.869 მან. მოიმატა.

შუიბულის ნახშირი. ინჟენერმა გაცაძემ მოახდინა ცდა ქალაქის ტრამვაის ელექტრონის სადგურის ორთქლის ქვაბების ტყიბულის ქვანახშირით გათბობისა. ცდამ მშვენიერი შედეგები მისცა. ორთქლის ქვაბების ნაწილს უკვე ტყიბულის ქვანახშირით ათბობენ.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოში.** ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ შეიმუშავა ცნობა აგვისტოს განმავლობაში ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებებიდან შემოსულ ფულისა. რესპუბლიკის ყველა ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის შემოსავალი აგვისტოს განმავლობაში უდრიდა 9.905.022 მან. საფოსტო ოპერაციებიდან შემოვიდა 3.182417 მან. სატელეგრაფო ოპერაციებიდან 4.712.831 მან. ამას გარდა ნისიათ გაგზავნილია დეპეშები 700 000 მან.

✦ **სასურსათო ცხოვრება.** სათბობ მასალის განმანაწილებელ ბიუროს დადგენილებით მუშათა მაგიდას ნოემბრის განმავლობაში მიეცემა 35.000 ფ. ნავთი ქალაქ ტფილისის მუშებისა და მოსამსახურეებისათვის და 25.000 ფ. პროვინციის მუშებისა და მოსამსახურეებისათვას, რომელნიც მუშათა მაგიდის მიერ არიან სიებში შეტანილი. ყველა მუშის და მოსამსახურის ოჯახს რესპუბლიკაში მიეცემა თითო ფუთი ნავთი.

✦ **ქ. შ. წ. კ. ნაზ. კრება** კვირას, 7 ნოემბერს, დილის 11 საათზედ ქართული კლუბის დარბაზში (დამფუძნ კრების ქ. № 5) დანიშნულია წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების ტფილისის განყოფილების წევრთა საზოგადო კრება. განსახილველი საგანია საკითხი მოხდეს თუ არა განყოფილების ლიკვიდაცია. თუ უარყოფითი გადაწყდა ეს საკითხი, მაშინ მოხდება გამგეობის და სხვა ორგანოთა წევრების არჩევა.

✦ **თ. ჟორდანიას პანაშვიდი.** დღეს, ნოემბრის 7-ს, ისტორიკოსის თედო ჟორდანიას გარდაცვალების მეოთხე წლის თავზე, გადახდილ იქნება წირვა დიდუბის ტაძარში წირვის შემდეგ კი პანაშვიდი. განსვენებულის საფლავთან, ქართველ მოღვაწეთა პანთეონში. წირვას და პანაშვიდს გადაიხდის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე. წირვა დაიწყება დილის 10 საათზე (ახალი დროით)

✦ **ჟურნალი „ერობა"** რედაქციამ მიიღო ორკვირეულ საერობო ჟურნალი „ერობა" № 10.

სამხატვრო ქრონიკა.

✦ **სახელმწიფო ოპერა.** დღეს წარმოდგენილი იქნება ოპერა „მინიონი" მონაწილეობენ ქ-ნი სპიტკო, ბ-ნი სარაჯიშვილი, და საბინინი.

✦ **ქართული დრამა.** დღეს წარმოდგენა მუშებისთვის. დ. კლდიაშვილის პიესები „დარისპანის გასაჭირი" და „ირინეს ბედნიერება"

✦ **სახალხო თეატრი.** სახალხო სახლთან არსებული ქართული წარმოდგენების მართველი წრის მიერ დღეს წარმოდგენილი იქნება პიესა „იმედის დალუპვა«.

✦ **კამერული თეატრი.** დღეს იდგმება მ. მეტერლინკის „დაი ბეატრისა.

ვოროტ-მოქმედებანი პურის საქმეში

მუშათა მაგიდა აქვეყნებს იმ პირთა მესამე სიას, რომელნიც მომარაგების ფონდიდან პურსა და სხვა სანოვაგეს არა კანონიერის გზით ორ ადგილას ღებულობდენ:

1) ნ. მელიქიშვილი ითვლება ოლღას საბებიო ინსტიტუტში და სახელმწიფო უნივერსიტეტში; 2) ნაცვლიშვილი ითვლება მე-9 კომისარიატში და ქალაქის თვითმართველობაში; 3) კერენტიშვილი ითვლება სახელმწიფო ქალალდების დამამზადებელ ექსპედიციაში და ქალაქის თვითმართველობაში; 4) ა. ბატრაკოვი ითვლება საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოებასა და მე-7 ქვეითა პოლკში; 5) ვავილოვსკი ითვლება თუთუნის ქარხანა „შვიდი მნათობი"-სა და საქციზო სამართველოში; 6) ა. კარაპეტიანცი ითვლება ტრამვაისა და ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილებაში; 7) ს. მაჰავარიანი—მომარაგების სამინისტროსა და ტრამვაიში; 8) ნ. მეიფარიანი ირიცხება საეპარქიო კანცელარიაში; და ტრამვაიში 9) ჰ. ვინოგრადოვი ირიცხება პოლიტეხნიკურ ინსტიტუტში და მიწათ-მოქმედების სამინისტროში; 10) ბარათაშვილი ირიცხება ცენტრო-ბანკსა დ სასამართლო პალატაში; 11) ვ. რატიანი ირიცხება რკინის გზის დეპოში და მისი ცოლი პურს ცალ-ცალკე იღებს. ორივე ცოლქმარი პურს ცალ-ცალკე მთელი ოჯახისათვის იღებდენ და ზედმეტს ყიდდენ, რატიანი დაჯარიმებულ იქნა 4200 მან.

აღნიშნულ პირებს მოესპოთ ულუფა და ისინი პასუხისგებაში მისცეს.

სასურსათო ცხოვრება

ნავთი.

ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება ქალაქ ტფილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ აცხადებს, რომ ნოემბრის 6, მოქალაქეთ დაურიგდებათ ნავთი შემდეგ პირობებში:

1) შინ სახმარად საჭირო ნავთი დაურიგდება მცხოვრებლებს სხვა და სხვა ნავთის მოვაჭრეთა საშუალებით, მხოლოდ სასურსათო ბარათებითა და სასურსათო განყოფილების აგენტთა მეთვალყურეობით; 2) ოჯახზე ერთი ბარათი მიეცემა. ბარათებს აიღებს ბინის კომიტეტის რწმუნებული. ბარათები გაიცემა ქალაქის სასურსათო მაღაზიებიდან. შენიშვნა 1. ოჯახს მიეცემა ერთი ბარათი კაცის სახელზე; შენიშვნა 2. ბარათი არ მიეცემა ერთ კაცს. იგი უნდა მიეწეროს ოჯახს; შენიშვნა 3. ბარათი არ მიეცემა მუშებსა და მოსამსახურეებს (და მათ ოჯახებს), სახელმწიფო და კერძო ორგანიზაციებს და კერძო სამრეწველოებს, რომლებიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის ულუფით. მუშებსა და მოსამსახურეებს, რომლებსაც დაუმტკიცდებათ ბარათის სასურსათო განყოფილებისაგან მიღება წაერთმევათ მუშათა მაგიდის ულუფა და ბარათიც ჩამოერთმევათ; 3) სახლის რწმუნებულებმა ბარათის მისაღებად უნდა მიმართონ სასურსათო მაღაზიებში კანტორის გამგეობას, რომლებსაც უნდა წარუდგინოს აქ ბინის კომიტეტის რწმუნება და ან სახლის მცხოვრებთა წერილობითი დავალება, ბ. სახლის წიგნი, გ. ოჯახის წევრთა სია დაწვრილებით აღნიშვნით, თუ ოჯახში რამდენი წევრია, დ. ბინის კომიტეტის მოწმობა შესახებ იმისა, რომ წარმოდგენილ სიაში არაა მუშები და მოსამსახურები, რომლებიც სარგებლობენ მუშათა მაგიდის ულუფით. ყალბი ცნობის მოწოდებისათვის რწმუნებულს ან ბინის კომიტეტს ეკარგება ბარათის მიღების უფლება; 4) ნოემბერში ნავთი მცხოვრებთ ტალონის მიხედვით მიეცემათ. ნავთის მიღებისას ბარათში მოხვევენ ტალონს. ფუთი ნავთის მტკვარის მარჯვენა ნაპირზე მცხოვრებთათვის ეღირება 560 მან., მარცხენა ნაპირზე მცხოვრებთათვის კი 550 მან.

რკინის გზაზე

გზათა დეპარტამენტის საბჭოში შევიდა მოხსენება ბათომის რკინის გზის სადგურის ექსპლოატაციის შესახებ. მოხსენებაში აღნიშნულია რომ კავკასიისა და მერკურის" საზოგადოებამ აღძრა შუამდგომლობა ბათომის სადგურის მისთვის იჯარით გადაცემის შესახებო. ეს საზოგადოება იძლეოდა განსაზღვრულ საიჯარო ფასს. ამგვარივე შუამდგომლობა შემოვიდა ქართულ პასუხის მგებელ არტელისაგან, რომელიც განსაზღვრულ საიჯარო გადასახადს თავის შუამდგომლობაში არ აღნიშნავდა. მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ბათომის სადგური გაიხ-ნა აგვისტოს 10-ს; მიზნათ ქონდათ მისი გაფართოება. აგვისტოს 10-დან სექტემბრის 1-მდე საკომისიო შემოვიდა 376.441 მან. აქედან წმინდა მოგება უდრიდა 263.616 მან. მოხსენებაში ნათქვამია, რომ ამ ახლო ხანში ძნელია ბარგის გადატანის და მგზავრების გადაყვანის საქმის გაძლიერება და ამიტომ ის წინადადებას იძლევა ხელშეკრულება დადონ ზემო აღნიშნულ საზოგადოებასთან.

ბ ა ბ ა ც ბ ა დ ბ ე ბ ა ნ ი

დაიკარგა უვადო პასპორტი № 165 ოსეფ სარქისას ძე ჯავრიშიანცის სახელზე, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3538 3—2

დაიკარგა სამხედრო ნუსხა კოსტა გაბრიელის ძე ბერიძის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3548 3—2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 2023 გრიგოლ გრიგოლის ძე კარაკაშიშვილის სახელზე მიღებული ტფ. მილიციის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3552 3—2

დაიკარგა ჯარში გამწვევ უბანზე მიწერილობის მოწმობა № 145 გიორგი დიმიტრის ძე მჭედლიძის სახელზე, მიღებული ტფ. ქალაქის გამგეობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3518 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა კონსტანტინე ვასილის ძე ქოქოსაძის სახელზე, მიღებული სინოდალურ კონტორიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3520 3—3

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი მიკირტიჩ ივანეს ძე მარუთოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო ალრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3511 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვალერიან ბოკუჩავას სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3514 3—3

დაიკარგა პირადობის მოწმობა ვალერიან ტოგონიძის სახელზე, მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3515 3—3

დაიკარგა პასპორტი კონსტანტინე ალექსის ძე ოქრომჭედლოვის სახელზე, მიღებული ახალქალაქის (გორის მაზრა) ერობის თემიდან 1919 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3506 3—3

დაიკარგა საოჯახო პასპორტი სერგო გრიგორის ძე ოგანეზოვის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3507 3—3

დაიკარგა მორიგ ჯარში გაწვევის უწყება № 47 არამ კარაპეტის ძე გევონდიანცის სახელზე, მიღებული 4 სამილიციო უბნიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3531 3—3

დაიკარგა პასპორტი № 261 ოვანეს ოსიპოვის სახელზე, მიღებული შუშის სამაზრო მთავრობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—3

დაიკარგა პასპორტი № 319 სონია აზურფიგაროს ასული ოგანეზოვის და ცატურ ოვანესის ძე ოგანესოვის სახელზე, მიღებული შუშის სამაზრო მილიციიდან, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—3

დაიკარგა პასპორტი № 198 ფაილაკ მარტიროსის ძე აკოფიანცის სახელზე, მიღებული სომხების ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3523 3—3

დაიკარგა ოფიცერთა ეკონომიურ საზოგადოების წიგნაკი № 4376 აკაკი ალექსის ძე ჭანტურიას სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3529 3—3

დაიკარგა პასპორტი № 3278 ლიუმოვ ნიკოლოზის ასული პოპოვის სახელზე, მიღებული ბათუმის მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3532 3—3

დაიკარგა უვადო პასპორტი № 1942 ეკატერინე მიხეილის ასული ბათხაძის სახელზე, მიღებული ტფ. თვითმმართველობიდან 1914 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3543 3—3

მოწმობა № 879 სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების შესახებ მიღებული ოზურგეთის სამხედრო ალრიცხვის უფროსისაგან ნიკოლოზ ოტიას ძე ურუშაძის სახელზე, დაკარგულია, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3525 3—3

დაიკარგა სამხედრო სამსახურის ნუსხა აკაკი სილევანის ძე დობარჯგვინაძის სახელზე, მიღებული ქუთაისის სამხედრო ალრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3537 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლების მოწმობა № 533 არტაშა იაგორის ძე გოგიაშვილის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედრო ალრიცხვის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3535 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა ივანე ალექსის ძე ჩიკულოვის სახელზე, მიღებული რუსთა ნაციონალურ საბჭოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 25450 3—2

დაიკარგა პასპორტი გაბრიელ მიხეილის ძე იოსებაშვილის სახელზე, მიღებული საჩხერის ერობიდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3533 3—2

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი, პასპორტი მიღებული ტფ. მილიციის უფ. სამმართველოდან და მეტრიკა ანუშავან სუმბათის ძე ზაკოიანცის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 3534 3—2

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 715 რისკო რისკინის სახელზე, მიღებული ეკატერინოსლავსკის უნივერსიტეტიდან 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3555 3—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 607 მიღებული ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტიდან და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ქუთაისის სამხედრო უფროსისგან ვალერიან გერასიმეს ძე ცაგარეიშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3558 3—1

ჩხარის უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულის მცხ. ს. საზანოში შორაპნის მაზრისა იაკობ გიორგის ძე ღოლაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ღოლაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამოქ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში 1920 წელსა ენკენისთვის 23 დღესა. 3236 1—1

ქ. ტფილისის მე-18 უბნის მომრიგებელი მოსამართლე იწვევს გარდაცვალებულ კირილე ანდრიას ძე ჭაჭვაძის მემკვიდრეებს, რათა მათ აღიარონ თავისი უფლება ჭაჭვაძის სიკვდილის შემდეგ დარჩენილ ქონებაზე სამ. კან. კრებ. მე-1241 მუხ. აღნიშნულ ვადაში. 3474 1—1

1920 წელს მაისის 31-ს სოხუმის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა შედგენილი 1920 წელს აპრილის 25 დღეს ნოტარიალური ანდერძი გარდაცვალებულის 29 აპრილს 1920 წელს ელენე ნიკოლოზის ასულის ნადარეიშვილისა, მცხოვრ. ქ. სოხუმისა. 3234 1—1

1920 წელსა აგვისტოს 24 ქუთაისის ოლქის სასამართლომ, სამოქალაქო განყოფილებისა დაამტკიცა შედგენილი 1 აგვისტოს 1909 წ. სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულის რევაზ იესეს ძე ნიკოლეიშვილის მცხოვრების სოფ. მუხაყრუაში ქუთ. მაზრისა. 3239 1—1

1920 წელს აგვისტოს 3-ს ქუთაისის ოლქის სასამართლოს სამოქალაქო განყოფილებამ დაამტკიცა შედგენილი 25 ოქტომბერს 1915 წ. სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულის ბიქტორ გიორგის ძის ახვლედიანისა მცხოვრების სოფ. ლასხანაში ლეჩხუმის მაზრისა. 3240 1—1

დაიკარგა უვადო პასპორტი მიღებული ახალციხის მაზრის უფროსისგან და სარეგისტრაციო ბარათი მიღებული ტფ. სამხედრო ალრიცხვის უფროსისგან ალექსანდრე მარტიროზის ძე ტერ-გრიქუროვის სახელზე გაუქმებულად ჩაითვალოს. 3562 3—1

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი თანახმად ნოტარიალური დებულების დროებით წესის მე-10 მუხლისა, იწვევს პირთა, მსურველთ დაიჭირონ ქ. ახალციხის უმცროს ნოტარიუსის თანამდებობა. მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერი დოკუმენტებით; ვინც მათგანი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არ აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ, უნდა გამოცხადდეს სასამართლოში ამა წლის 3 დეკემბერს დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე თანახმად რესპუბლიკის 1918 წ. 1-ლ ოქტომბრის კანონისა. მთხოვნელთათვის საჭიროა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენად, რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენაზე აქტის შედგენა და საქმის წარმოება, ამისათვის ამ საგანზე გამოცდა სავალდებულოა იმათთვინაც, ვინც ირიცხება ნოტარიუსად ტფილისის ოლქში. 985 1—1

დაიკარგა ორი აქტი № 25 და 31. 3576 მ. მიღებული ტფ. ქალაქის სასაკლაოდან ალექსანდრე ედიშერის ძე ჭიაურელის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 3563 3—1

ტფილისის მე-12 და 13 სამომრიგებლო უბ. სასამართლოს ბოქაული გავსოვიჩი აცხადებს რომ 23 ნოემბერს 1920 წ. დილის 10 საათზე მეოხრე უბანში ტურგენევის ქუჩაზე № 4 დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ვაგან ავეტის ძე აკოპოვის მოძრავ ქონებაზე, რომელიც შეადგენს საყინულეს, ტანისამოსს და სხვა ნივთებს არონ-მეერ ლეებისძე იზრაილოვის 33567 მან. ვალის დასაკმაყოფილებლად. 3542 1—1

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად ნოტარიალური დებულების დროებით წესის მე-10 მუხლისა, იწვევს პირთ, მსურველთ დაიჭირონ დ. ცხინვალის უმცროს ნოტარიუსის დანამდებობა. მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერი დოკუმენტებით; ვინც მათ განი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არა აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ, უნდა გამოცხადდეს სასამართლოში ამა წლის 8 დეკემბერს დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე თანახმად რესპუბლიკის 1918 წ. 1-ლ ოქტომბრის კანონისა. მთხოვნელთათვის საჭიროა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენად, რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენაზე აქტის შედგენა და საქმის წარმოება, ამისათვის ამ საგანზე გამოცდა სავალდებულოა იმათთვისაც, ვინც ირიცხება ნოტარიუსად ტფილისის ოლქში. 985 1—1

დაიკარგა მატრიკული მიღებული ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ნოე გიორგის ძე მეგრელიშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 3527 3—2

ჭუათურის უბნის მომრიგებელი მოსამართლე, თანახმათ 2330 და 2331 მუხ. სამ. საქ. წარ. წესდ. ტ. მე-10-ნაწ. I, აცხადებს, რომ ვექილობები-გაცემულნი 26 მარტს 1916 წ. შესრულებულნი იმავე რიცხვს ჭიათურის ნოტარიუსთან ნუსხის № № 658, 670 და 672-ს სერგო ლავითის ძე, გიორგი როსტომის ძე და ალექსანდრე გიორგის ძე წერეთლების მიერ დარისპან ვასილის ძე ბრეგვაძეზე და პლატონ გიორგის ძე ჩაჩანიძეზე, გაუქმებულათ ჩაითვალოს. 3235 1—1

თავმჯდომარე ტფილისის საოლქო სასამართლოსი, თანახმად ნოტარიალური დებულების დროებით წესის მე-10 მუხლისა, იწვევს პირთ მსურველთ დაიჭირონ ქ. ტფილისის უმცროსი ნოტარიუსის თანამდებობა. მსურველნი მოვალენი არიან შემოიტანონ სათანადო თხოვნა შესაფერი დაკუმენტებით; ვინც მათგანი არ ირიცხება ტფილისის საოლქო სასამართლოს ნოტარიუსად და არ აქვს მოწმობა შესაფერი გამოცდის ჩაბარებისა, მიცემული აღნიშნულ სასამართლოს მიერ, უნდა გამოცხადდეს სასამართლოში ამა წლის 7 დეკემბერს დილის 12 საათზე შესაფერ გამოცდაზე თანახმად რესპუბლიკის 1918 1-ლ ოქტომბრის კანონისა. მთხოვნელთათვის საჭიროა ცოდნა სახელმწიფო ენისა იმდენად, რომ გამოცდის დროს მათ შესძლონ ქართულ ენაზე აქტის შედგენა და საქმის წარმოება, ამისათვის ამ საგანზე გამოცდა სავალდებულოა იმათთვინაც, ვინც ირიცხება ნოტარიუსად ტფილისის ოლქში. 985 1—1

ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს,

რომ ქვემოთ დასახელებულ პირთა უძრავი ქონება, საზოგადოების მიერ საწინდრათ მიღებული

საჯაროთ გაიყიდება

დაწესებულ გადასახადისა და დარჩენილ გადასახადის შეუტანლობის გამო.

ვაჭრობის დღე და დარჩენილ გადასახადის როდენობა ცალკე იქნება გამოცხადებული.

ზანდუკელი ო. კ. მეორე უბ., თავშესაფარის ქ., სოლომონოვები ა. და შ.გ., მეხუთე უბ., პურისა და გიორგის მოედ.; მელკოვნიკოვისა და ფეთხაინის ქუჩა; ამხანაგობა „არგო“ მეცხრე უბ. ნიკოლაევის მოედ. და პანასევიჩის ქ.; ავანუზბაშოვი დ. ბ. ხანი საგნახსკისა მესამე უბ. რუსთაველის პრ. ევსაფისა და ტიპოგრაფის შ. ტერმხითარიანცი მ მ. მეხუთე უბ. ფეთხაინის ქ. ფეთხაინის საყდრის გვერდზე; ბერიაშვილი ე. და ი. მ. და დ. გ. მეორე უბ. მთაწმინდის ქ.; რუსული კლუბი მეათე უბ. პლეხანოვის ქ.; ნაზაროვი ნ. ი. მეთორმეტე უბ. ფოთის ქ.; მელიქფაშაევისა ე. გ. მეცხრე უბ. პროექტიროვანი ქ.; არუთინოვი ა. მ. მეათე უბ. პლეხანოვის ქ.; ოგანესიანცი ტ. მ. მეშვიდე უბ. ფალავანდოვების ქ.; ფრიდონოვისა მ. ო. მესამე უბ. სერგეევის ქ. 986 1—1

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ქვემოდ აღნიშნული ნივთი და უდოკუმენტო ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 17 ნოემბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა ხელმეორედ ვაჭრობა მოხდება 18 ნოემბერს.

ხარაგოულიდან—ბორჯომში № 16365 რიგ. № 317—10 გ., ბაკურიანიდან ბორჯომში № 8471 რიგ. № 316—10 გ., ქუთაისიდან—ფოთში № 45638 რიგ. № 314—3 გ., ქუთაისიდან—ფოთში № 46103 რიგ. № 313—6 ფ. 30 გ., ტფილისიდან—ბათუმში № 93 რიგ. № 309—5 ფ., ტფილისიდან—ბათუმში № 8060/61 რიგ. № 308-25 გირ., ბაკურიანიდან—ტფილისში № 4595 რიგ. № 318 ხის ნახშირი 1 ფ. 10 გ., ფოთიდან—ბათუმში № 88550 რიგ. № 307 ზანდუკი 35 გ.

984 3—2

საქართველოს სახაზინო რკინის გზათა სამმართველო ამით აცხადებს საყოველთაოდ,

რომ ქვემოთ აღნიშნული გაუტანელი ტვირთი საჯაროდ გაიყიდება ცენტრალ საწყობში ამა წლის 15 ნოემბერს დილის ათ საათზე და თუ დანიშნულ ვადაზე არ გაიყიდა, ხელ მეორედ ვაჭრობა მოხდება 16 ნოემბერს.

ტფილისიდან—ლანჩხუთში № 604445 რიგ. № 306 გამგზავნი ქალაქთა კავშირი, მიმღები იმნაძე ფანჯრის მინა 4 ფ., ტფილისიდან—სანაინში № 615352 რიგ. № 319 ცარიელი კასრი გამგზავნი ფირალოვი მიმღები იგივე 12 ფ.

984 3—2